ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი, _____ იანვარი, 2026 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილის სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის და საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივნის 2025 წლის 24 ოქტომბრის №57 (№10/1425297596-14; 24.10.2025წ.) წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3300 კვ.მ. მეორადი ქვაფენილის ეკლესია/მონასტრების (800,00 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, ბათუმის ყოვლადწმინდა სამების ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსისასთვის; 2000,00 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძრის და მონასტრისათვის; 500,00 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, ბობოყვათის სამი მღვდელმთავრის: წმინდა ბასილი დიდის, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის და წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ტაძრისათვის) ეზოების კეთილმოწყობის მიზნით, სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილის სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივანის 2025 წლის 24 ოქტომბრის N57 (მერიაში რეგისტრაციის N10/1425297596-14; 24.10.2025წ.) წერილი (თან ერთვის) საქართველოს საპტრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის ეკლესია/მონასტრების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ქვაფენილების გადაცემის თაობაზე, კერძოდ:

800,00 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, ბათუმის ყოვლადწმინდა სამების ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსისასთვის;

2000,00 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძრის და მონასტრისათვის;

500,00 კვ.მ. - საქართველოს საპატრიარქოს, ბობოყვათის სამი მღვდელმთავრის: წმინდა ბასილი დიდის, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის და წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ტაძრისათვის.

მოქმედი კანონმდებლობით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი არაა მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობაში გადასცეს უშუალოდ ეკლესია/მონასტრებსა და გიმნაზიას. ამასთან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, შესაბამისი მომართვის შემთხვევაში მუდმივ სარგებლობაში გადასცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 24 ოქტომბერს შემოვიდა საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მდივანის წერილი (#57) მეორადი ქვაფენილების საპატრიარქოსათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოთხოვნილი მეორადი ქვაფენილები (3300,00 კვ.მ.) ეკლესია/მონატრების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით მუდმივ სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცეს სსიპ „საქართველოს საპატრიარქოს“.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3300,00 კვ.მ. მეორადი ქვაფენილის ეკლესია/მონასტრების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე არ იმოქმედებს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**